„თამაში და მისი მნიშვნელობა ადრეულ ასაკში“

ავტორი/ავტორები -თამარ სარინაძე, მანანა ჩქარეული

იძულებით ნასწავლი მასალა გონებაში არ რჩება ...

საშუალება მიეცით ბავშვებს თამაშის გზით ისწავლონ

რატომ არის თამაში ბავშვისთვის მნიშვნელოვანი?

თანამედროვე კვლევებში ნაჩვენებია პირდაპირი კავშირი ადრეულ ასაკში ბავშვების თამაშსა და მათი მეხსიერების, ენობრივი, სოციალური უნარების განვითარებას, ემოციებისა და ქცევის თვითრეგულაციას, სკოლასთან შეგუებას შორის (Bredekamp & Copple, 1997).

ადამიანის ტვინის შესწავლამ კიდევ უფრო გაამყარა ეს მიმართებები. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვის ტვინი მაშინ ვითარდება, როდესაც ის გარემოსთან ურთიერთობს და გარემო ამ ურთიერთობაზე რეაგირებს. ბავშვს, რომელიც მრავალფეროვანი თამაშებით (მაგ., საგნებით თამაში, ფიზიკური თამაში, სოციალური ან შემეცნებითი თამაში) თამაშობს, თავის ტვინში, მთელი რიგი, მნიშვნელოვანი კავშირები უვითარდება.

თამაშის პროცესში სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქცია მონაწილეობს. მაგალითად, საგნებით თამაშისას ბავშვები მხედველობის, შეხების, ზოგჯერ სმენით შეგრძნებებს იყენებენ, ვინაიდან ამ დროს ისინი ობიექტებზე გარკვეულ მანიპულაციას ახდენენ, რითაც მათ ფიზიკურ თვისებებს ეცნობიან. კუბებით თამაშისას ბავშვები ფიქრობენ მათი განლაგების სხვადასხვა კომბინაციაზე,

მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, ახალი მოდელების შექმნასა და მათ ფიზიკურ მასახიათებლებზე (მაგალითად, დაინგრევა თუ არა კუბებისგან აშენებული კოშკი?). სოციალური თამაშების დროს ხდება ენის, მეტყველების, სოციალური უნარების განვითარება. ისეთების, როგორებიცაა – გაზიარება და მოლაპარაკება. **და რაც მთავარია, თამაში იწვევს სიხარულის ემოციას, რაც აუცილებელია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.**

მაგრამ, უფროსების გარკვეული ნაწილი თამაშს ნაკლებ სერიოზულ საქმიანობად აღიქვამს და არსებული მეცნიერული გამოცდილების მიუხედავად, ბავშვებს, მათი განვითარების მიზნით, ადრეული ასაკიდანვე ტვირთავენ სხვადასხვა წრეებით, სადაც აქტივობები ძირითადად გაკვეთილების მსგავსად მიმდინარეობს. სტატიაში დაწვრილებით შევეხებით ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესო გამოცდილების მახასიათებლებს.

რა ახასიათებს თამაშს?

- **დადებითი ემოცია –** თამაში, ჩვეულებრივ, სახალისო და სასიამოვნოა; როგორც წესი, მას თან სდევს ღიმილი და სიცილი. მაშინაც კი, როდესაც თამაში შედარებით სერიოზულია, ბავშვებს ის მაინც უხარიათ. ზოგჯერ თამაში იწვევს მსუბუქ შიშს და შფოთვას, მაგალითად, როდესაც ბავშვი დამრეცი სასრიალოდან ჩამოსრიალებას აპირებს. ამის მიუხედავად, ეს შიშიც მისთვის სასიამოვნოა, რადგანაც ბავშვი ამ მოქმედებას ისევ და ისევ იმეორებს.
- **არარეალურობა –** ბავშვები თამაშს რეალობას უპირისპირებენ, თამაშში „ვითომ“ სიტუაციებს ქმნიან, რაც საშუალებას აძლევთ, გასცდნენ ახლანდელი დროის და ადგილის ფარგლებს და ახალი შესაძლებლობები გამოსცადონ. მაგალითად, თამაშისას ბავშვი ისე უვლის თავის თოჯინას, ვითომ ის მართლაც მისი შვილი იყოს ან ისე ეპყრობა თავის ჯოხს, ვითომ ის მართლაც ცხენი იყოს.
- **შინაგანი მოტივაცია** – თამაშისთვის არ არის საჭირო გარე მოტივაციის არსებობა, თამაშში თავისთავად, მისი პროცესი არის კმაყოფილების გრძნობის მომნიჭებელი.
- **პროცესზე ორიენტაცია** – თამაშის დროს ბავშვების ყურადღება კონცენტრირებულია ქმედებებზე და არა მის მიზნებზე, ამიტომ მათთვის პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტი.
- **თავისუფალი არჩევანი** – თავისუფალი არჩევანი ადრეული ასაკის ბავშვების მიერ თამაშის განმსაზღვრელი ელემენტია. მაგალითად, კუბებით შენობის აგებას ბავშვი თამაშად აღიქვამს, თუ ამას თავის ნებით აკეთებს, მაგრამ იგივე შეიძლება მუშაობად აღიქვას, თუ ამას მასწავლებელი დაავალებს.

დღეს ინტერნეტ სივრცეში მრავლადაა წარმოდგენილი ბეჭდური ინფორმაცია, სადაც სხვადასხვა თამაშებია აღწერილი, აგრეთვე ვიდეოები, რომლებსაც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები უზიარებენ ოჯახებს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმიანობაა, მაგრამ ნებისმიერი აქტივობის სახლში რეალიზებისა თუ დაგეგმვისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თამაშის მახასიათებლები.

როგორ თამაშებს თამაშობენ ბავშვები?

თამაშს განვითარების თავისი ეტაპები აქვს, მაგრამ ყოველი ბავშვი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეც შეიძლება თამაშის გარკვეულ ტიპს ანიჭებდეს უპირატესობას. ეს დამოკიდებულია ბავშვის პიროვნებაზე, მანამდე მიღებულ გამოცდილებასა და იმ გარემოზე, რომელიც ხელმისაწვდომია ბავშვისთვის.

სტატიაში შევეხებით თამაშის პერიოდიზაციას, რომელიც ჟან პიაჟეს, შვეიცარიელ ფსიქოლოგს ეკუთვნის. ჟან პიაჟემ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შეიმუშავა რადიკალურად ახალი თეორია ბავშვის ინტელექტუალური განვითარების შესახებ.

თამაშის განვითარება პიაჟეს თეორიის მიხედვით

- **სენსო-მოტორული.** მასში მოიაზრება: საკუთარი სხეულის შესწავლა, ხელის ტაცება რაიმესთვის, ენით, ხელით რამეზე შეხება, საჟღარუნებლის ჩხაკუნი, ქაღალდის დახევა, ნივთების ძირს დაყრა, საგნების გაგორება, ხოხვა, ბუქნვა, სირბილი, ქვიშაში თამაში და ა.შ.
- **სიმბოლურ წარმოსახვითი.** ილუზიის თამაში. მაგ, ,,ცხენობანა“, როლების თამაში ,,დედობანა“, ექიმობანა“; კონსტრუქციის თამაში – კუბების აწყობა და ა.შ.
- **თამაში წესებით.** მოძრავი თამაშები, სპორტის სხვადასხვა სახეობები, სამაგიდე, კომპიუტერული და ვიდეო თამაშები.

თამაშის განვითარება

თამაშის ყოველი მომდევნო ეტაპი წინა ეტაპის თამაშის ელემენტებს აერთიანებს. მაგალითად, კონსტრუქციის თამაშში სენსომოტორული თამაშის უნარები მონაწილეობს. თამაშის სხვადასხვა ტიპს სხვადასხვა ასაკშიც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს თამაში სირთულით განსხვავებული იქნება. მაგალითად, იმ ბავშვის სიმბოლურ-წარმოსახვითი თამაში, რომელმაც ესაა სიარული დაიწყო, ბევრად უფრო მარტივი იქნება, ვიდრე ბაღის ასაკის ბავშვის თამაში. თამაშის ერთსა და იმავე ეპიზოდში შეიძლება თამაშის რამდენიმე ფორმა შეგვხვდეს. ბავშვების მოტორულ თამაშში სიმბოლოები და სოციალური ქცევა შეიძლება ერთდროულად იყოს წარმოდგენილი.

თამაშის კატეგორიების სისტემებში გამოიყოფა თამაშის არა მხოლოდ ტიპები, არამედ ქვეტიპებიც (რომელთა აღწერასაც მომდევნო სტატიებსა თუ ვებინარებში შემოგთავაზებთ).

დღეს თქვენ ყურადღებას შევაჩერებთ თამაშზე – ,,სენსორული დაფა“. აღნიშნული აქტივობის ვიდეო ინსტრუქციის ნახვა შეგიძლიათ მასწავლებლის სახლის ფეისბუქგვერდზე. იხ. ლინკი: shorturl.at/bdtuS

სენსორული დაფა

აღნიშნული თამაშის რეალიზება ძალზედ იოლია სახლის პირობებშიც. აქტივობის გაცნობის შემდეგ თუ გადაწყვეტთ ბავშვს/ბავშვებს აღნიშნული რესურსები და საქმიანობა შესთავაზოთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ბავშვის ასაკი, შესაძლებლობები და ინტერესები. მიეცით

ბავშვს შესაძლებლობა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი რესურსები მრავალფეროვნად გამოიყენოს, და არა მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ეს თამაშის აღწერაშია წარმოდგენილი.

მიზანი: ყურადღების კონცენტრაციის, ნატიფი მოტორიკის, წერის საბაზო უნარების, მათემატიკური წარმოდგენების, ფანტაზიის განვითარება.

მიახლოებითი ასაკი : 3-7 წელი

მასალა:

- ლანგარი (შესაძლებელია დიდი ზომის ყუთის თავსახური, კონტეინერი);
- პატარა ფურცლები;
- სახატავი საშუალებები (მარკერი, ფანქარი, ფლომასტერი, პასტელი, პასტა);
- ფუნჯი;
- ფქვილი (ნებისმიერი სახის ბურღულეული);
- კამათელი.

კავშირი სტანდარტთან[1]

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტები

- **განვითარების სფერო –** ფიზიკური და სენსორული განვითარება. **შედეგი –** ბავშვი აკონტროლებს და კოორდინირებულად იყენებს სხეულის წვრილ კუნთებს. **კატეგორია –** ნატიფი მოტორიკა.
- **განვითარების სფერო –** კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება. **შედეგი –** ბავშვი ავლენს წერისა და კითხვის საბაზისო უნარებს. **კატეგორია –** წერა. **ინდიკატორები:** ავლებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს; თამაშისას იყენებს წარმოსახვით წერას, (ხატავს პატარა ზომის ფიგურებს, ვითომ წერს); ხატავს სიმბოლოებს, რომლებიც შეხვედრია და ახსოვს.
- **განვითარების სფერო –** შემეცნებითი განვითარება. **შედეგი –** ბავშვი ავლენს ცნობისმოყვარეობას სიახლის მიმართ, შეუძლია შეაჩეროს და შეინარჩუნოს ყურადღება მოცემულ ამოცანაზე. **შედეგი –** ბავშვი შემოქმედებითად უდგება ყოველდღიურ საქმიანობას და ეძებს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზებს.
- **თემატური მიმართულება –** მეცნიერების ელემენტები. **შედეგი –** ბავშვი იყენებს მათემატიკურ უნარებს.
- **თემატური მიმართულება –** ხელოვნება. **შედეგი –** ბავშვი ინტერესდება ვიზუალური ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის. **კატეგორია –** შემოქმედებითი თვითგამოხატვა.

სასკოლო მზაობის სახელმწიფო სტანდარტი

- **განვითარების სფერო –** ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება. **ქვესფერო–** ნატიფი მოტორიკა. **შედეგი –** ბავშვს მოსწონს ახალი დავალებების შესრულება, რომლებიც

ნატიფი მოტორიკის გამოყენებას მოითხოვს: მაგ., ძერწვა, ფაზლების აწყობა, ხატვა და ა.შ.

- **განვითარების სფერო –** სწავლისადმი მიდგომა. ქვესფერო – **სასწავლო და სააზროვნო უნარები. მიმართულება – ყურადღების კონსცენტრაცია. შედეგი –** ბავშვს შეუძლია შეაჩეროს და გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ყურადღება კონკრეტულ ამოცანაზე, მათ შორის, გარკვეული დაბრკოლებების წარმოქმნის შემთხვევაშიც. **მიმართულება** – შემოქმედებითობა და გამომგონებლობა. **შედეგი** – შეუძლია მოიგონოს ახალი როლები, დიალოგები, ამბები და თამაშები. ძერწვისას და ხატვისას შექმნას ახალი ფორმები და შინაარსები.
- **განვითარების სფერო –** შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა. ქვესფერო – **მათემატიკური წარმოდგენები. მიმართულება –** რიცხვები და ანგარიში.
- **განვითარების სფერო –** მეტყველება, კომუნიკაცია და წიგნიერება. **ქვესფერო** - წიგნიერება. **მიმართულებ**ა – წერა. შედეგი – ბავშვს შეუძლია საკუთარი სახელის დაწერა; ცდილობს ასოების გამოყვანას.

მიმდინარეობა:

- ლანგარზე დავყაროთ ფქვილი ისე, რომ ზედაპირი დაიფაროს.
- A4 ზომის ფურცლები გავჭრათ ოთხ ტოლ ნაწილად. გამზადებულ ფურცლებზე დავხატოთ სხვადასხვა საგნები, გამოსახულებები, რიცხვები, ასოები, სიტყვები.
- მივცეთ ბავშვს შესაძლებლობა, აირჩიოს სასურველი გამოსახულება. შემდეგ ფუნჯი ან თითი შემოავლოს მას. პირველ ჯერზე სასურველია, ჯერ უფროსმა ვუჩვენოთ, თუ როგორ უნდა ამის გაკეთება.
- წავახალისოთ ბავშვი, რომ ზუსტად ასეთი მოძრაობით გამოსახოს ფქვილზე ეს გამოსახულება.

რეკომენდაცია მოთამაშეებს: შესაძლებელია ამ აქტივობას ბევრი დატვირთვა მივცეთ, მაგ: რაოდენობის სწავლა. გავაგოროთ კამათელი, დავითვალოთ მასზე არსებული წრეების რაოდენობა და წავახალისოთ ბავშვი, გამოსახოს ფქვილზე იმავე რაოდენობის წრე/ყვავილი/მზე და ა.შ. ამის შემდეგ ვთხოვოთ, ჩვენ მიერ წინასწარ მომზადებულ ფურცელზე იპოვოს შესაბამისი ციფრი და ისიც გადაიხატოს/დაწეროს ფქვილზე.

შესაძლებელია, ბავშვებმა ყოველგვარი ინსტრუქციის გარეშე დამოუკიდებლად დახატონ რაიმე ფიგურა, სიუჟეტი და შემდეგ მოიგონონ რაიმე ისტორია ან ზღაპარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სასკოლო მზაობის პროგრამა. თამაში სწავლისა და განვითარებისათვის. აღმზრდელის სახელმძღვანელო (2015) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი.
2. ჯონსონი ჯ.ი, ქრისტი ჯ. ფ. თამაში, განვითარება და ადრეული განათლება.
3. უზნაძე, დ. (2005) ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია. თბილისი.

1. 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა – სწავლების თავისებურებანი (2011) ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი.

5. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4376829.

სტანდარტის სრული ვერსია იხილეთ ლინკზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4376829; პუბლიკაციის სახით – shorturl.at/hr125

სტატიის ბმული http://mastsavlebeli.ge/?p=25661